

DOI: 10.54635/tpks.2022.24putk

**ეროვნულ-ენობრივი ერთიანობის იდეა
პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის
ნაშრომებში**

**THE IDEA OF NATIONAL-LINGUISTIC UNITY
IN THE WORKS
OF PROFESSOR TARIEL PUTKARADZE**

შორენა ლომაია
მაკა სალია
ფევი ჩელები
დუზჯეს უნივერსიტეტი
დუზჯე, თურქეთი

Shorena Lomaia
Maka Salia
Fevzi Çelebi
Düzce University
Düzce, Turkey

ABSTRACT

“A mother language is a reflection of a person; the people create a language, and the language constructs the nation. The state language is a measure of dignity”, the magnitude of these words by Professor Tariel Putkaradze is fully reflected in numerous of his academic works the primary focus of which is the idea of the national-linguistic unity of the Georgians.

The article deals with a remarkable idea of the national-linguistic unity of the Georgian people to which the great Kartvelologist and state-minded scholar dedicated his short but productive career. As he remarks, in the post-Soviet period, he together with his like-minded colleagues revived the then neglected traditional vision shared by Georgian chroniclers and public figures. Based on historical sources, modern criteria, and attitudes that distinguish between a language and a dialect, he reinforced the historical perspective concerning one mother language of the Georgians and promoted the issue of the national-linguistic unity as well as its importance for further construction of democratic Georgia.

Tariel Putkaradze made a significant contribution to the development of Kartvelology and the Humanities in general. Through his research, he advanced the idea of the national-linguistic unity of the Georgian people, emphasizing the exceptional importance of the language for the consolidation of the nation.

საკვანძო სიტყვები: ქართველოლოგია, ეროვნულ-ენობრივი ერთიანობის საკითხი, ტარიელ ფუტკარაძე.

Keywords: Kartvelology, the issue of national-linguistic unity, Tariel Putkaradze.

„დედაენა პიროვნების სახეა; ხალხი ქმნის ენას და ენა ქმნის ერს; სახელმწიფო ენა ერის ღირსების საზომია!“ – პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ამ სიტყვების სიდიადე სრულად წარმოჩინდება მის სამეცნიერო ნაშრომებში, სადაც ცენტრალურ საკითხს ქართველთა ეროვნულ-ენობრივი ერთიანობის იდეა წარმოადგენს.

ქართული ენის ისტორიაზე, ქართველთა ენობრივ სამყაროზე დაკვირვებული მეცნიერის ეროვნული ერთიანობის იდეის მატარებელი შემდეგი სიტყვები: „ქართული სამწიგნობრო ენის უძველესი კერები იყო: ტაო-კლარჯეთი, აფხაზეთ-ეგრისი, ლაზეთ-ჭანეთი, სვანეთ-თაკვერი, ქართლ-კახეთის, გურია-აჭარის, მთიულეთ-ხევის, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთის, ჰერეთის სასულიერო ცენტრები“ (ფუტკარაძე 2006: 10). ქართული ენის ისტორიულ გზასა და პერსპექტივებზე მსჯელობისას პატივცემული მეცნიერი ეყრდნობა ქართველ კლასიკოსთა შეხედულებებს. საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორ იბრძოდა ქართველი ხალხი ეროვნული მეობისა და ქართული ენის შესანარჩუნებლად. მომხდური ყოველთვის ცდილობდა ჩვენი სამშობლო დაეშალა ენობრივ-ეთნიკურად, დაევიწყებინა რა მისთვის საკუთარი წარსული და კულტურა. განსაკუთრებით საშიში აღმოჩნდა მე-20 საუკუნის 70-იანი წლები, კომუნისტური იმპერიის აღზევების წლები, როდესაც ქართველური კილოების ბაზაზე შექმნეს ახალი „სამწიგნობრო ენები“ (დიალექტებზე თარგმნიდნენ სახარების ცალკეულ ეპიზოდებს, ლოცვებს...). ამით ამ კილოს მფლობელებს ავიწყებდნენ და უუცხოვებდნენ წინაპრების მიერ შექმნილ დედაენას და დედაკულტურას... სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო წერდნენ კლასიკოსები: „ჩვენი ენა სათავეა ძველი კლასიკური ქართული ლიტერატურული ენისა... მწერალი უნდა იბრძოდეს საერთოქართული ეროვნული ენის ინტერესებისთვის“... (ვაჟა-ფშაველა); „ქართული სიტყვის ინვენტარის გამდიდრება უნდა მოხდეს ცალკერძ ძველი ქართულის მარაგიდან, ცალკერძ ენაკავებისა და ცოცხალი დიალექტების წიაღიდან, რათა ქართული ენა მართოდენ მშრალი, მწიგნობრული ენა არ გახდეს... უნდა შემოუშვათ ქართულ ენაში როგორც მეგრულ-სვანური დიალექტების სიტყვები, ისე ფშავ-ხევსურულ კილოდან...“ (კ. გამსახურდია).

ამგვარი ჯანსაღი, მკაფიო და სწორი ეროვნული ღირებულებების საფუძველზე შეეცადა პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე დაებალანსებინა საერთაშორისო აკადემიურ ველში არსებული იდეოლოგემა სამი თუ ოთხი ქართველური ენის არსებობის შესახებ. ეს ის ტრადიციულად ქცეული შეხედულებაა, რომელიც ეწინააღმდეგება ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ ერთიანობას. მთავარი, ცენტრალური საკითხი მეგრულ, ლაზურ და სვანურ მეტყველებათა ლინგვისტური სტატუსის პრობლემა წარმოადგენს. მეცნიერის ეროვნულ-ენობრივი მთლიანობის იდეის სულისკვეთება სრულად ამ საკითხის ირგლივ იკვრება. ტარიელ ფუტკარაძემ პირველმა ლინგვისტური ქართველოლოგიის ისტორიაში სკრუპულოზულად შეისწავლა და გააანალიზა საქართველოს ეროვნულ და სხვადასხვა არქივში დაცული განსაკუთრებული ღირებულების დოკუმენტები. ქართული საზოგადოების ფართო ნაწილისთვის უცნობი იყო, რომ „ოთხი ქართველური ენის იდეოლოგემა“ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების საფუძვლად გამოიყენა რუსეთმა როგორც საბჭოთა, შემდეგ

პოსტსაბჭოთა პერიოდში და „პოპულარული“ თანამედროვე დასავლეთ-შიც. მეცნიერი აკრიტიკებს ქართველური ზეპირი ქვესისტემებისთვის მინიჭებულ სტატუსებს, როგორცაა „განვითარებადი ენა“, „აღორძინებადი ენა“, „უმწერლობო ენა“, „ტომობრივი ენა“... ის უკომპრომისო იმ ავტორების მიმართ, რომლებიც ამ ტერმინებს იყენებენ. განსაკუთრებით მიუღებელია ტომობრივი და უმწერლობო ენის სტატუსით მოხსენიება მეგრულის, ლაზურისა და სვანურისა: „ყველამ კარგად იცის, რომ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში „ტომი“ ველურ საზოგადოებას ნიშნავს“, – შენიშნავს მეცნიერი (ფუტკარაძე 2019: 97). ვოსტორგოვების, იანოვსკების, ნ. მარის გვიანდელი მოსაზრებებისა და ი. სტალინის თეორიული „დებულებების“ განხილვა-განალიზების საფუძველზე მეცნიერი ამტკიცებს, რომ „რუსულ სამეცნიერო ველში დღემდე მიზანმიმართულადაა გაბატონებული მოსაზრება, რომ სვანური და მეგრულ-ლაზური ქართულისაგან განსხვავებული უმწერლობო ქართველური ენებია“ (იქვე: 113). ამგვარ მსჯელობას კი უცხოელი ექსპერტები შეცდომაში შეჰყავს და მეგრელებს, სვანებსა და ლაზებს საქართველოში მცხოვრებ ენობრივ უმცირესობებად აცხადებენ. ეს კი გახლავთ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის წინააღმდეგ კარგად გააზრებული სტრატეგია. აღნიშნულ საფრთხეებზე მიუთითებს ავტორი, როცა ანალიზებს საერთაშორისო დოკუმენტს „ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობათა ენების შესახებ“.

პროფ. ტ. ფუტკარაძის აზრით, აუცილებელია ქარტიის დებულებების სწორად განსაზღვრა და ადეკვატური გაგება. მან კარგად უწყობდა, რომ არასწორად გაგებული „ქარტია“ წყალს შეუყენებდა ქართველთა ეროვნულ-ენობრივ ერთიანობას, რომლის შერყევასაც ცდილობს რუსეთი საქართველოს ანექსიის დღემდე უწყვეტი პროცესით. რუსეთი „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით ანაწევრებს ქართველ ერს ენობრივ-ეთნიკურად, შესაბამისად, ქართველთა დიალექტების ერთ ნაწილს დამოუკიდებელ ენებად აცხადებს, პარალელურად, იმპერიის მიერ მართული წრეები მთელ მსოფლიოში ავრცელებენ პოლიტიზებულ კვალიფიკაციებს და აცხადებენ, რომ ქართველები არ არიან: მეგრელები, სვანები, აჭარლები, მესხები... ამიტომაც ფრთხილობდა მეცნიერი, რომ ქართველი ერის დანაწევრების მოსურნეთ დღეს „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ არსის გაყალბებით საქართველოს ეთნიკურ-ენობრივ უმცირესობებად არ წარმოეჩინათ ქართველთა დიდი ნაწილი (მეგრელები, სვანები, ლაზები) და ამ გზით არ დაეკანონებინათ ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დაშლა. ის უდავო ფაქტად მიიჩნევს, რომ ერთიანი სამწიგნობრო ენის ჩამოყალიბებაში მეგრულ-ლაზ-სვანები ისევე მონაწილეობდნენ, როგორც დანარჩენი ქართველები. მეგრულ-ჭანურ-სვანურის „უმწერლობო დედაენებად“ გამოცხადება ისტორიის გაყალბება უფროა, ვიდრე (ენათ) მეცნიერული ჭეშმარიტება; მეგრულ-ლაზთა თუ სვანთა ისტორიული დედაენაა მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ტრადიციის მქონე ქართული ენა. კუთხური მეტყველებების დამოუკიდებელ ენებად გამოცხადების შემთხვევაში დგება მისი მატარებელი სოციუმის (საზოგადოების) სტატუსის საკითხიც: ენა აქვს ეთნოსს (ერს, ნაციას, ხალხს), ხოლო დიალექტი (კილო) – ამ ერის ცალკეულ ჯგუფებს (თემებს). მიუხედავად ეთნოგრაფიული თავისებურებებისა და ენობრივი სისტემის ვარიანტთა (დიალექტთა)

სიმრავლისა, ქართველობა ერთიანი ერია, რომელსაც მრავალი საუკუნეა ძერწავს მრავალსაუკუნოვანი სამწიგნობრო ენაც, რომელიც მთელ საქართველოშია განფენილი... ქართველურ სინამდვილეში დღემდე არ წარმოქმნილა სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული ენობრივი სისტემა“; ამგვარად, „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ რატიფიცირების კონტექსტში საქართველოს ენობრივი სიტუაცია ადეკვატურად უნდა იყოს აღწერილი და ოთხი ენის იდეოლოგია დაბალანსებული“, – ასკვნის პატივცემული მკვლევარი წიგნში (ფუტკარაძე 2005).

მეცნიერი ეროვნულ საფრთხეს ხედავდა იმაში, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობს ქართული ენის სრულმასშტაბიან ტექნოლოგიზებაზე ორიენტირებული ინსტიტუტი. სამართლიანად შენიშნავს, რომ „ერისა და სახელმწიფოს ღირსების ერთ-ერთი უმთავრესი საზომია დედაენა / სახელმწიფო ენა... „თანამედროვე პირობებში ბევრი ენა გაქრება, თუკი მოცემული ენა ვერ გახდება ინტერნეტსივრცის, ავტომატური თარგმანებისა თუ ულტრათანამედროვე ტექნიკის ზეპირი ბრძანებით მართვის ენა...“ პროფესორმა ტარიელმა ფუტკარაძემ ჩამოაყალიბა კონცეფცია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ქართული ენის სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიზება (ფუტკარაძე 2005 (1): 155). ეროვნულად მოაზროვნე მამულიშვილის აზრით, ეს იქნებოდა ქართული ენის პრესტიჟის დაცვა და ეროვნულ-ეთნიკური დანაწევრების საფრთხის თავიდან აცილების აუცილებელი პირობა, რასაც თანამედროვე ქართველოლოგიის მთავარ გამოწვევად თვლიდა (ფუტკარაძე 2005 (2): 8).

ცალსახა გახლდათ ტარიელ ფუტკარაძის პოზიცია უცხოენოვანი უნივერსიტეტებისა და სკოლების რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით საქართველოში. საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მიიჩნევდა, რომ „საჭიროა ქართული კულტურული ფასეულობების შესწავლა-პროპაგანდის მიზნით დაიგეგმოს განათლების რეფორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭოური რუსიფიკაცია ენისა და ერის გადაგვარების ახალ სახეობად შეიცვლება“ (ფუტკარაძე 2006: 12). მისი ღრმა რწმენით, „ქართველმა სტუდენტმა კარგად უნდა იცოდეს ერთი უცხო ენა მაინც, მაგრამ აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდობა პირველ რიგში ფლობდეს საქართველოს სახელმწიფო ენას და განათლებას უნდა იღებდეს სახელმწიფო ენაზე, რამდენადაც კულტურის ენა განსაზღვრავს პიროვნების ცნობიერებასა და სამყაროს ხედვა-აღქმის სისტემას... უცხო ენით – დედაენის გარეშე გაზრდილი ადამიანი შორდება საკუთარ ფესვებს, კულტურას, ტრადიციას და ვერც სხვის კულტურას ეზიარება სრულყოფილად“ (იქვე).

საყურადღებოა, რომ პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, თანამოაზრე მეცნიერებთან ერთად, იბრძოდა იმისათვის, რომ 14 აპრილი გამოცხადებულიყო არა დედაენის ან ქართული ენის დღედ, არამედ საქართველოს სახელმწიფო ენის დღედ! მისივე თქმით, „სახელმწიფო ენა ამთლიანებს მოსახლეობის სახელმწიფოებრივ ინტერესს და სულისკვეთებას. იგი ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების საფუძველია“.

პროფ. ტ. ფუტკარაძე ხაზს უსვამს სახელმწიფოს ერთიანობის იდეის განხორციელებაში ქართული ენის როლს, მნიშვნელობას. საქართველოს ისტორიაში ცნობილია ორი ამ მხრივ მნიშვნელოვანი პერიოდი: ერთი

– ფარნავაზის პერიოდი: „არღარა იზრახებოდა ქართლსა შინა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა“... და მეორე – გრიგოლ ხანძთელის ეპოქა: „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“...

ეროვნული თვითაღქმის, სამწიგნობრო ენის ფლობასა და, შესაბამისად, აკადემიური განათლების მიღებაზე მსჯელობისას მეცნიერს მოჰყავს ლაზების მაგალითი: ისტორიული კატაკლიზმების შედეგად ლაზების დაყოფამ და სხვადასხვა სახელმწიფოებრივ თუ კულტურულ ველში ცხოვრებამ გამოიწვია მათი ეროვნულ-ენობრივი თვითაღქმის ხარისხის სხვადასხვაობა; საქართველოში მცხოვრებმა ლაზებმა იცინ, რომ მეგრელთა, ფშაველთა, იმერელთა, კახელთა მსგავსად, ისინიც ერთიანი ქართველური კულტურისა და საერთოქართველურ ენობრივ სტრუქტურაზე დაფუძნებული მწიგნობრობის ავტორები არიან. ისინი იცნობენ საქართველოს მეფეებს, რომელთა ნაწილი ჭანურ-მეგრული წარმოშობისანი არიან. ასევე, იცნობენ ჭანურ-მეგრული წარმოშობის ქართველური კულტურის შემქმნელებს – იოანე ლაზს, იოანე მინჩხს, სტეფანე სანანოისძეს, იოანე პეტრიწს, იოანე მარუშისძეს, ჭყონდიდელებს, დადიანებს, ჩიქოვანებს, გამსახურდიებს...

ლაზთა მეორე ნაწილს, რომელიც აღიზარდა თურქეთში, დავიწყებული აქვს თავისი დედაენა, მშობლიური კილო და თავს მიიჩნევს თურქად.

პროფ. ტარიელ ფუტყარაძეს თავისი ხედვა ჰქონდა ლაზების ქართველურ ეროვნულ-ენობრივ ველში დაბრუნებისა; დიდ იმედებს ამყარებდა თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ის ერთგან აღნიშნავს, რომ „მწელი არ არის სამეცნიერო ცოდნის განსაზოგადოებრიობა“. მისი აზრით, საქართველოსა და თურქეთის კეთილმეზობლურ პირობებში უნდა შეიქმნას ობიექტური სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის ველი, რომელიც ყველა ლაზს საშუალებას მისცემს თვითაღქმისთვის. იმედისმომცემ ფაქტად თვლიდა თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში გახსნილ ქართული კულტურის ასოციაციებს,¹ რომელთა უმრავლესობაში ქართული ენის სწავლება მიმდინარეობს. მათ შორის უმნიშვნელოვანესი მაინც 2018 წელს ქ. საქარიაში გახსნილი „ქართველთა (გურჯ-ლაზთა) ასოციაცია“, სადაც ლაზები აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლებთან ერთად ეუფლებიან ქართულ ანბანსა და წერა-კითხვას.

საქართველოს ეროვნულ-ენობრივი ერთიანობის ქვაკუთხედი არის სწორი, მართალი სამეცნიერო ინფორმაცია, რომელსაც გააზრებულად უნდა ფლობდეს ყველა ქართველი (ლაზი, მეგრელი, სვანი, ხევსური, აჭარელი, კახელი, იმერელი...). პროფესორის აზრით, უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, რომელიც ასაზრდოვებს ქართველურ ერთობას, ასეთია:

1. კოლხური (კოლხურ-ყოზანური) არქეოლოგიური კულტურის საზღვრები ცხადყოფს, რომ კოლხური სახელმწიფო ოცზე მეტ ქართველურ

¹ დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაცია; საქარის ქართულთა (გურჯებისა და ლაზების) კულტურის ასოციაცია; ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაცია; ბოდაზჟოის ქართული კულტურისა და ტურიზმის ასოციაცია; იზმირის ქართველთა მეგობრობის ასოციაცია; გონენის ბათუმელებისა და ართვინელების კულტურისა და სოლიდარობის ასოციაცია; უნიეს აჭარელთა მეგობრობისა და კულტურის ასოციაცია; ბეიქოზის ბათუმელ ქართველთა კულტურის ასოციაცია; ქართული კულტურის ცენტრი (სტამბული); ქართული კულტურის სახლი და სხვ.

თემს აერთიანებდა და თავისი არსით ქართველური (ზოგადქართული) ხასიათისაა.

2. ქართველური სამწიგნობრო ენა ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართულს, კახურს ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს; პირველი ქართული ასომთავრული წარწერები შემორჩენილია იოვანე ლაზის მონასტერში, ქართული ჰიმნოგრაფიის ფუძემდებელია ასევე ლაზი/მეგრელი იოანე მინჩხი და სხვ.

3. საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს იდეოლოგიები და წინამძღოლები მეტწილად იყვნენ ლაზურ-მეგრული წარმოშობის დიდგვაროვნები (ზაგრატიონები, ჭყონდიდელები...).

4. ლაზთა ფოლკლორში (მსგავსად იმერხველთა, ტაოელთა, სვანთა, ჰერთა, კახთა..) გამორჩეულად პატივსაცემი ადგილი უჭირავს ერთიანი საქართველოს დიდ მეფეს – თამარს (ფუტკარაძე 2006: 14).

დიახ, ასე ესახებოდა დიდ მეცნიერს ქართული სამწიგნობრო ენის სტატუსის უზრუნველყოფა, ქართველური ზეპირი მეტყველებების შენარჩუნებისთვის აუცილებელი ღონისძიების გატარება და საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა დარჩენილი ქართველობის ენობრივი იდენტობის გადარჩენა.

ტარიელ ფუტკარაძემ, როგორც თვითონ აღნიშნავს, თანამოაზრე კოლეგებთან ერთად პოტსაბჟოთა პერიოდში გააცოცხლა ქართველი მემკვიდრეებისა და საზოგადო მოღვაწეების ტრადიციული ხედვა, რომელიც საბჟოთა პერიოდში მივიწყებული იყო. მან ისტორიულ დოკუმენტებზე, ენისა და კილოს გამმიჯნავ კრიტერიუმებსა და თანამედროვე მიდგომებზე დაყრდნობით გაამყარა ისტორიული თვალსაზრისი ქართველთა ერთი დედაენის შესახებ და გაააქტიურა ენობრივ-ეროვნული ერთიანობის აუცილებლობის გარდაუვალობა მომავალი დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობისათვის (ფუტკარაძე 2019).

ამ მოკლე ექსკურსით შევეცადეთ წარმოგვეჩინა დიადი იდეა ქართველთა ეროვნულ-ენობრივი ერთიანობისა, რომელსაც შეაღია დიდმა ქართველოლოგმა და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მეცნიერმა თავისი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად ნაყოფიერი ცხოვრება. „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“ – ნათქვამია. დიახ, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის იდეები და ნაშრომ-ნაღვაწი ისევე უკვდავია, როგორც ისტორია ქართული ენისა და ქართველი ერისა!..

დამოწმებული ლიტერატურა

ფუტკარაძე 2005 (1): ფუტკარაძე ტ., ქართველები. თბილისი, 2005.

ფუტკარაძე 2005 (2): ფუტკარაძე ტ., ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ. თბილისი, 2005.

ფუტკარაძე 2006: ფუტკარაძე ტ. (თანაავტორი), ქართული ენის ისტორია (სახელმძღვანელო). პროფ. ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქციით. თბილისი, 2006.

ფუტკარაძე 2014: ფუტკარაძე ტ., ქართველოლოგიის შესავალი. თბილისი, 2014.

ფუტკარაძე 2019: ფუტკარაძე ტ., ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები. თბილისი, 2019.